



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გაბოდის ყოველ კვირა დღს

№ 40

სამთავარი 22 1896 წ.

№ 40

შინაარსი: ნანსენის ექსპედიცია—სხვა-და-სხვა ამბავი.—„აკვალის“ კორესპონდენციები.—კრიმინალური ანთროპოლოგია გ. ბარძიშისა.—ტალღები, ლექსი ი. ევლოშვილისა.—უცხოეთიდან. სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში (შემდეგი) ნ. უორდანიასი.—ჩვენი მწერლობა, კრიტიკა ი. ნაკაშიძისა.—ეურნად-გაზეთებიდან და განცხადებანი.—

„აკვალის“ ხელის მომწერლებს მოვავსებთ, ვისაც ფული არ შემოუტანათ, დროზე შემოიტანონ.

ნანსენის ექსპედიცია.



ნანსენის ექსპედიციამ და თვით ამ შესანიშნავი და გაშბედავი მოგზაურის პიროვნებამ დღი ყურადღება მიიქცია არა თუ მარტო სწავლეულების მხრით, არამედ მთელ კაცობრიობის. ამიტომ მოგვყავს აქ საინტერესო ცნობები მის შესახებ.

ჩრდილოეთისაკენ მოგზაურობას განსაკუთრებითი მნიშვნელობა მიეცა მეთექვსმეტე საუკუნეში, რადგანაც ამ საქმეს მაშინ პრაქტიკული ხასიათი ჰქონდა, ე. ი. ჩინეთს და ამერიკას შუა ჩრდილო-დასავლეთის ზღვის გზის ამოჩენა. მაშინვე ამოაჩინეს გულსონის სრუტე. მას შემდეგ რამდენჯერმე სცადეს ამ გზის ამოჩენა, მაგრამ ამაოთ. ახალი ხანა ჩრდილოეთისაკენ მოგზაურობაში იწყება 1845 წელს ფრანკლინის უბედური ექსპედიციით. ამ წლის ივლისის თვეში ფრანკლინი და მისი თანამოგზაურები უკანასკნელათ დაინახეს მელეილის ნავსადგურში. რადგანაც ამას შემდეგ ფრანკლინზე აღარაფერი ცნობა აღარ იყო, ამიტომ 1847 წლიდან იწყება მთელი რიგი მოგზაურობათა დაღუპულ ზღვის მოგზაურთა ნაშთების



ნ ა ნ ს ე ნ ი.

ამოხაინათ. მხოლოდ 1859 წელს მაკ-კლინტოკმა მიხსნია ამ მიზანს: მან დაამტკიცა, რომ ფრანკონი, ყინულიდან გასრესილი, დიდილუბა 1847 წელს 11 იენისის კოროლ ვილჰელმის მიწაზე, სადაც ის მისულა მარხილით. ამავე დროს განმავლობაში მაკ-კლერს ამოეჩინა ხსენებული გზა, თუმცა-ღა გამოუსადეგარი ნაფოსნობისათვის. ამას შემდეგ ჩრდილოეთისაკენ მოგზაურობას ჩრდილოეთის პოლიუსის გამოკვლევა აქვს სახეში უმეტეს ნაწილათ. ამ მიზნის მისახვევით რამდენიმე ექსპედიცია იყო შემდგარი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ მიზანს ვერც ერთმა ვერ მიახწია. ნანსენის ექსპედიციაზე ჰქონდათ დიდი იმედი, მაგრამ ვერც ეს უკანასკნელი მივიდა პოლიუსთან; ის მიუახლოვდა პოლიუსს მხოლოდ სამი გრადუსით, ეინემ დანარჩენი მოგზაურნი.

ნანსენმა წინდაწინვე შეადგინა თავის მოგზაურობის პლანი; სხვა-და-სხვა დაკვირვებათა და ფაქტების მეოხებით, იმან დაადგინა, რომ ჩრდილოეთის ოკეანეში არსებობს დენა, რომელიც ჩუკოცკის მიწის ნაპირებიდან პოლიუსზე გაივლის და შემდეგ გრენლანდიის ნაპირებზე მიდის. ნანსენს უნდოდა ამ დენასთან მისულიყო, რომელიც მას გადიტანდა პოლიუსზე გრენლანდიამდე. მთელ მოგზაურობას მოუხდებოდა სამი წელი.

ამ მიზნით ნანსენმა 1893 წელს გააკეთა ძრიელ მაგარი ხომალდი, რომელსაც უწოდა „ფრამი“ ზ რომელსაც ყინულები ვერაფერს დააკლებდნ. დიდი საცდლით ნანსენმა 1893 წელს 9 იელისს დატოვა ნორვეგიის ქალაქი ვარდე; მასთან იყო 13 გამოცდილი მოგზაური. ერთ უსაჭიროეს კუთვნილებას ჩრდილოეთის ექსპედიციისას შეადგენენ ძაღლები. ნანსენის თხოვნით ტაობოლის მცხოვრებმა ტრონტიემმა მიკვარა მას 30 ოსტიაკური ძაღლი ხაბაროვოში. როგორც ახლა ვტყობილობთ, ძაღლები არ ყოფნიათ ამ მოგზაურობის დროს და ამის გამო ნანსენს ვერ მიუხსენებია პოლიუსამდის. ნანსენისათვის რამდენიმე ციბირის ახალ კუნძულზე დაფლული იყო საჭმელი, ვინიცობაა, თუ ნანსენის გემი მოულოდნელათ დაღუპებოდა, საზრდო ჰქონოდათ. 22 იელისს ნანსენი გავიდა ხაბაროვოდან.

ექსპედიციის შემდეგ ამავეს თვით ნანსენი ასე მოგვითხრობს:

18 იენისს 1894 წელს ჩვენ ვიყავით  $81^{\circ}52'$  ჩრდილოეთის სიგანეზე; შემდეგ ისევ სამხრეთისკენ მოვბრუნდით. მხოლოდ 21 ოქტომბერს გავიარეთ  $82^{\circ}$  ჩრდილოეთის სიგანეზე. შობის წინა დღეს ჩვენ მივასწიეთ  $83^{\circ}$ , და რამდენიმე დღეს შემდეგ  $83^{\circ}23'$  ჩრდილოეთის სიგანეზე, სადამდინაც ჯერ არავის არ

მივხსენებია. 1895 წელს 4 და 5 იანვარს „ფრამმა“ გამოცადა ეველაზე უსაშიშროესი ქაჩა. ის ჩაიყინა ყინულებში, რომლებსაც ზედ აწებობდნ ხელ-ახალი ყინულები და ლამობდნ მის სრულიად გასრესას. ყოველგვარი საჭირო მასალა მოგზაურობისათვის ჩვენ გავიტანეთ და დავაწყეთ ყინულზე და ის-ის იყო უნდა დაგვეტოვებია „ფრამი“, მაგრამ ეს უკანასკნელი დარჩა ვაპარჯებულო: „ფრამი“ უეცრივ განთავისუფლდა ყინულიდან სრულებით დაუზიანებლათ.

რადგანაც მე წინდაწინვე გავიფიქრე, რომ „ფრამი“ ჩქარა მიხსენებდა უკიდურეს სიგანეს ჩრდილოეთისაკენ ფრანც-იოსების \*) მიწიდან, მე გადაწყვიტე გემის დატოვება ზ ზღვის გამოსაკვლევით წასვლა. ჩემთან წამოსვლის სურვილი განაცხადა იოგანსენმა. „ფრამის“ მმართველად გავაღებე კაპიტან სევრდრუსს. სამ მარტს ჩვენ მივასწიეთ  $84^{\circ}41'$  ჩრდილოეთის სიგანეზე. 14 მარტს მე და იოგანსენმა დაეტოვეთ „ფრამი“  $83^{\circ}59'$  ჩრდილოეთის სიგანეზე და  $102^{\circ}27'$  აღმოსავლეთის სიგრძეზე.

7 აპრილს ჩვენ ვიყავით  $86^{\circ}14'$  ჩრდილოეთის სიგანეზე. ტემპერატურა ყოველთვინ დაბალი იყო, სამი კვირის განმავლობაში— $40^{\circ}$ . მარტში მინიმალური ტემპერატურა იყო— $45^{\circ}$ , მაქსიმალური— $24^{\circ}$ , აპრილში მინიმალური— $38^{\circ}$ , მაქსიმალური— $20^{\circ}$ . 8 აპრილს ჩვენ გავემართეთ ფრანც-იოსების მიწისაკენ 13 აპრილს გავიჩიერდა ხრონომეტრები და ჩვენ აღარ ვიცოდით აღმოსავლეთის სიგრძე. სამხრეთისკენ ყინულის ნაპრალები უფრო და უფრო დიდდებოდნ და ამის გამო მოგზაურობა გვიძნელდებოდა; საჭმელიც მიღებაზე მიდგა. ვნაცავდით ძაღლებს ერთი მეორეს საზრდავებლათ; ძაღლები ძვალტყავთ გახდნ. იელისში ნაპრალები კიდევ უფრო გამრავლდნ; მარხილით მოგზაურობა სულ უფრო და უფრო გაჭირდა; წინ-სვლა შეუძლებელი იყო, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა. ჩვენ გვეკონა მიწას დაეინახადით, მაგრამ ამაოთ. 31 მაისს ჩვენ ვიყავით  $81^{\circ}21'$  ჩრდილოეთის სიგანეზე; 4 იელისს  $82^{\circ}18'$ ; მაგრამ მიწა არსად არ მოჩანდა.

22 იენისს ჩვენ მოვკალით ზღვის ღორი და გადავწყვიტეთ მოცდა, სანამ თოვლი გადნებოდა. ამას გარდა ჩვენ მოვკალით სამი დათვი. ახლა კარგათ გამოვაძღვით ორი დარჩენილი ძაღლი. 23 იელისს ჩვენ გავემგზავრეთ და უეცრივ დაეინახეთ უცნობი მიწა. ჩვენ ვიყავით დაახლოვებით  $82^{\circ}$  ჩრდილოეთის სიგანეზე. ყინული ყოველგან დახეთქილიყო. ნაპრა-

\*) ფრანც-იოსების მიწა ამოაწინა 1873 წ. 30 აგვისტოს ავტრიის ექსპედიციამ, შაიძის და ვებრესტის უფროსობით.

ლები გავსებულებოა ყინულის ნატყეებით და ტალახით, ასე რომ მოგზაურობა მეტის-მეტათ გასაჭირი იყო: უნდა გადაესულიყავით ერთი ყინულის ნატყეხიდან მეორეზე. მიწას მივახწვიეთ ჩვენ მხოლოდ 6 აგვისტოს 81° 38' ჩრდილოეთის სიგანეზე და 63° აღმოსავლეთის სიგრძეზე. ეს ყოფილიყო სამი კუნძული, რომლებსაც მე დავარქე Huittenland.

შემდეგ ჩვენ გავემართეთ დასავლეთისკენ და 13 აგვისტოს ამოვაჩინეთ მიწა. 18 აგვისტოდან ერთი კვირის განმავლობაში ჩვენ შევეჩვიეთ ყინულებს. 26 აგვისტოს მივახწვიეთ მიწას 81° 12' ჩრდილოეთის სიგანეზე და 56° აღმოსავლეთის სიგრძეზე. ეს მიწა გამოადგებოდა ზამთრის გასატარებლათ. ჩვენ აქ დაზამთრება განვიზარებთ, რადგანაც შპიცბერგენზე წასვლა უკვე გვიან იყო. ჩვენ დავხოცეთ დათვები საზრდობლათ და ლომ-თევზები დასაწვად მასალათ. გავაკეთეთ ქოხი ქვების და ხვისისაგან და გადაეხურეთ ლომ-თევზის ტყავებით. ქონს ვადუღებდით და ეხმარობდით გასანათებლათ და გასათობათ. ზამთარმა შეენიერთ ჩიარა. ბოლოს მოახწია გაზაფხულმა თავისი მზის სინათლით. ჩვენ გავეშაღეთ შპიცბერგენში წასასვლელათ და 19 მაისს ვიყავით უკვე მზათ; ჩვენ გავემართეთ ზღვით დასავლეთისკენ, მაგრამ 18 ივნისს წაეატყადით ჯექსონის ექსპედიციას. ეს იყო მოულოდნელი სასიამოვნო შეხვედრა“.

ამ ნაირათ თუმცა-ღა ნანსენმავერ მიახწია თავის უმთავრესს მიზანს—პოლიუსზე მისვლას, მაგრამ მისი მოგზაურობა ჩრდილოეთისკენ ყოველ შემთხვევაში ერთ უშესანიშნავეს საქმეთ ჩაითვლება. ჯერ ერთი ისა, რომ ის ბევრათ უფრო ახლო მივიდა პოლიუსზე, ვინემ დანარჩენი მოგზაურნი. გარდა ამისა მან შეადგინა თავის ამოჩენათა რუკა, რომელიც მოკლე ხანში გამოქვეყნდება; მოახდინა ყოველ გვარი მეტეოროლოგიური, გეოლოგიური, ბიოლოგიური და სხვა სამეცნიერო გამოკვლევანი და დაკვირვებანი. ყოველივე ეს ჯერ-ჯერობით გამოქვეყნებული არ არის. შეენიშნავეთ მხოლოდ, რომ ნანსენის გამოკვლევამ სრულიად შეცვალა წინანდელი აზრი იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთის ოკეანე ისე ღრმა არ არის, როგორც სხვები; ნანსენის გამოკვლევით ჩრდილოეთის ოკეანეს სიღრმე ყოველგან 1600—1900 საყენი იყო; ამას გარდა ჩრდილოეთის ზღვის ბსკერში არსად არ ამოჩენილა ორგანიული სიცოცხლის ნიშანი.

ამ ჟამათ მთელი ნორვეგია სამართლიანათ ამყობს თავისი გამბედავი შვილით—ფრედირიკ ნანსენით. სწორეთ ამ ჩრდილოეთის ქვეყანას შეეძლო ამნაირი კაცის შობა.

### სხვა-და-სხვა ამბავი.



ვენ მკითხველებს, უეჭველია, ეხსომებათ, თუ რა გადაწყვეტილებას დაადა ამ ორი თვის წინეთ ქართლ-კახეთის თავად აზნაურობის კრება მდგომარე წლის 20 ივლისს თავ. მაყაშვილის თავმჯდომარეობით. ამ დღეებში ადგილობრივ გაზეთებიდან შევიტყეთ, რომ თბილისის გუბერნიის მარშალს, თავად კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის, 14 სექტემბერს მიუწვევია ამ კრებაზე ამოჩეულა კომისია და გამოუცხადებია მისთვის, რომ 20 ივლისის საგანგებო კრება მას, ე. ი. მარშალს, არ მიაჩნია კანონიერათ და ამიტომ უკანონოა თვით კომისია. კახეთის გზის საქმის გამოსარკვევათ ის მოუწოდებს იმ კომისიას, რომელიც არჩეული იყო 1892 წელს და მის სხდომებზე მიიწვევს აგრეთვე ახალი კომისიის წევრებსაც. თუ ეს შეერთებული კომისია მარშალის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას დაადგება, იმ შემთხვევაში თავად ბაგრატიონ-მუხრანსკი ხელახლათ დანიშნავს თავად-აზნაურობის საგანგებო კრებას. 18 სექტემბერს, მართლაც, თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის მიუწვევია 1892 წ. კახეთის რკინის გზის კომისიის წევრები და აგრეთვე წევრები ახლათ ამოჩეული კომისიისა. პირველ კომისიიდან გამოცხადდა სამი წევრი, მეორედან ერთი. გუბერნიის მარშალმა განუცხადა კრებას ის მიზეზები, რომლებსი ძალით იმას მიაჩნია უკანასკნელი საგანგებო კრება უკანონოთ და ამასთანავე განაცხადა, რომ შოკტომბრისათვის ის იწვევს ახალ საგანგებო კრებას, რომელსაც ის წარუდგენს წინადადებას, რომ იშუამდგომლონ ხელმწიფე იმპერატორთან შემდეგი: 1) კახეთის რკინის გზა გაკეთდეს ხაზინის ხარჯით და 2) თუ ეს არ შეიძლება, იმ შემთხვევაში თავად-აზნაურობას კონცესიის შედგენის ნება მიეცეს.

\* \* \*

16 სექტემბერს მოხდა კავკასიის „საკურნალო საზოგადოების“ სხდომა, რომელსაც, სხვათა შორის, მოახსენდა უმაღლესი მთავრობის უწყება სახალხო სამკურნალო გაზეთის გამოცემის თაობაზე. რადგანაც უმაღლესს გამგეობას გაზეთის პროგრამიდან გამოურიცხავს ფრიად საჭირო განყოფილება, როგორიც არის კორესპონდენტები კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებიდან, და რადგანაც გაზეთის გამოცემა ნებადართულია მხოლოდ რუსულ ენაზე (ჩვენ შეცდომით გექონდა ამას წინეთ მოხსენებული, რომ ეს გაზეთი გამოვა სამ ენაზე), ამიტომ კრებამ დააყენა: გამგეობას მიენდოს განსაკუთრებით მოხსენების წარ-

დგენა ახლო ხანში საზოგადოების წლიურ სხდო-  
მაზე.

\* \*

ქალაქის გამგეობას განუზრახავს გამართოს ჩუ-  
ღურეთში ქალებისთვის პროფესიონალური სკოლა, მა-  
გრამ დირექტორს შეუთვლია, რომ ჩუღურეთის მაგიე-  
რათ სკოლა გაიხსნას კუკიაში, მალაკის უბანში.  
როგორც „თულისის ფურცელი“ გვაუწყებს, დიდ ძა-  
ლი მშობლები ჩუღურეთიდან მისულან დირექტორში  
და უთხოვნიათ, რომ ქალაქის ნაჩვენებ ადგილას გაი-  
მართოს ხსენებული სკოლა.

\* \*

თფლისის ქალაქის საბჭოს კრიზისი დაუდგა,  
რომელიც კიდევ უფრო მეტ გამწვავებას უქადის მას.  
თავს ანებებს სამსახურს ქალაქის თავი, თავ. ნ. ვ. არ-  
ლუთაშვილი-მხარგრძელი; ეს მეორეთ ანებებს ის თავს.  
ანებებს თავს აგრეთვე გამგეობის წევრი თავადი პ. მ.  
არლუთაშვილი-მხარგრძელი. ამ ჟამით ქალაქის საბჭო  
დიდ ფაქტ-ფაქტშია ქალაქის თავის მოადგილის და  
აგრეთვე გამგეობის მეოთხე წევრის არჩევის გამო.  
ზმონტის კერძო სხდომაზე ქალაქის თავის მოადგი-  
ლის კანდიდატთა დასახელებს, სხვათა შორის, მგებ-  
როვი, ადგილობრივ მომრიგებელი მსაჯული. ენახათ,  
როგორ ვათადებდა ჩვენი ქალაქის კრიზისი, რომელ-  
საც ის ამ უკანასკნელ დროს მეტათ შეეჩეა

\* \*

ამირ-კასპის მხრის გასარუსებლათ განზრახვა  
აქვთ, როგორც გვაუწყებს გაზ. „Петербург. Вѣд.“, შე-  
მოიღონ კრასნაეოდსკში, კიზილ-არეადში, ასნაბადში,  
მერვში, ჩარჯუიში, ჩიკიშლიარში და სხვაგან ახალ  
გვარი სკოლები, რომლებშიაც ასწავლებენ რუსულ  
ენასთან ერთათ ადგილობრივ ენათა კილო-კავენსაც,  
როგორც მაგალითათ თურქესტანში.

\* \*

სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა  
სამინისტროში თხოვნაა შეტანილი, რ. მ გორის ანას-  
ტასის საქალებო პროკინაზიას მიეცეს სახელმწიფო  
მიწა 390 ოთხკუთ საყენი ქ. გორში სასულიერო  
სასწავლებლის შენობის პირდაპირ.

\* \*

გაზ. „Нов. Сѣв.“-ის ბათუმელი კორესპონდენ-  
ტი იუწყება, რომ ყოველგვარი ღონის-ძიება ადგი-

ლობრივი ქალაქის სამართველოისა სავაეო კლასი-  
კური გიმნაზიის გახსნის თაობაზე, ამოთ ჩაიარა, რო-  
გორც ჩანს სარწმუნო წყაროებიდან. ამის მიზეზათ ის  
კი არ არის, რომ ქალაქი ცოტა დაზარებას პირდ-  
ბოდა, როგორც ადგილობრივი ვაზეთი ამბობდა,  
არამედ ის მოსაზრებანი, რომ ბათუმი, როგორც  
სააღმ-მიცემი ქალაქი, არ საჭიროებს ამნაირ სასწავ-  
ლებელს. ქალაქი, აი, რა შემწეობას პირდებოდა ამ სა-  
სწავლებლიათვის: წლიური 5000 მანეთის შემწეო-  
ბას გარდა, ქალაქი უთმობდა მომავალ გიმნაზიას მი-  
წას ზომით 2.623 ოთხ-კუთხ. საყენს, საუკეთესო  
ადგილას, ღირებულს არა ნაკლებ 60,000 მანეთი-  
სა, და ამას გარდა კარსულობდა ყოველგვარ ხარჯს  
სასწავლებლის შენობის ვაკეთებისათვის; ამას დაჭირ-  
დებოდა 111,000 მანეთი; ამნაირათ ქალაქის შემ-  
წეობა იქნებოდა 170,000 მანეთი. ამბობენ,  
რომ, რადგანაც ქალაქმა გიმნაზიის გახსნაზე ყოვე-  
ლივე იმედი დაჰკარგა, ახლა განზრახვა აქვთ რეა-  
ლური სასწავლებელის გახსნა ითხოვნონ.



„კვალის“ კორესპონდენტები.

**მ**კვრელო. დადგა თუ არა ავეისტო, ისეთი სიც-  
ხე-პაპანაქება დაიჭირა, რომ კაცს სულიც გული  
ესუთებოდა, რის გამო გაჩნდა სოფლებში უსა-  
შველო ციებ-ცხელება. ზოგიერთ სოფლებში ციებამ  
ისე გაიღვა ძირი, რომ ძნელია იმისი თავიდან მო-  
შორება. ყოველსავე ამას ხელს უწყობს ქესატობა.  
საბრალო გლეხს, ავითყოფთათვის ექიმის მოწ-  
ვევა და წამლების ყიდვა კი არა, იმათთვის საქ-  
მელიც არ მოეძებება, და თითონ ხომ კუჭ-ცარიელი  
წარამარა დევნებება. მართლაც, ზოგიერთ „უფხა-  
რას“ დიდი ხანია, რაც საქმელი არა აქვს და იმისი  
ჯალაბობა დიდ შეწუხებაში იმყოფება. ის კი არ იფაქ-  
რო, მკითხველო, რომ სამეგრელოს მკვიდრი ზარ-  
მაცი და შრომის მოყვარე არ იყოს, მაგრამ შარშან-  
დელმა წელმა დიდი დიდი დასვა გლეხის  
ოჯახს. შიმშილი შიმშილია, მაგრამ უფრო სამწუხა-  
როა აქიდან გამოწვეული შედეგი—ეს ხალხის ზნეობით  
დაცემა. ხალხში პატიოსნება, სიმშვიდე და მოთმი-  
ნება აღარ არის. ღარიბი იმას ცდილობს, როგორმე  
მდიდარს რამე წაართვას, მდიდარი კი ღარიბზე ლე-  
სავს კბილებს. ამიტომაცაა, რომ ამ უკანასკნელ  
დროს აქ ძრიელ განშირდა ქურდობა, უნდა შეე-  
ნიშნოთ, რომ ქურდობის ასეთი განშირება ღრმა  
მოხუცებულებსაც არ ახსოვთ. ამას უფრო ისინი

ეტანებთან, ვინც ეკონომიური მხრით შევიწროებულა. ქურდობა ცოტ-ცოტა ყოველგან არის, მაგრამ არც ისე, როგორც ჩვენსკენ. ამ ერთი თუ ორი წლის წინეთ ხვეისთაობა შემოიღეს, რომელმაც გვირინათ შეუყვეცა ფრთები ქურდებს. ახლა ესეც მიატოვეს და არ ვიცით, რა მიზეზით. ჩვენი ქურდები დღისით შარა-გზაზე უხედებიან გამეღელ-გამომეღელს და ტყავს აძრობენ. სწორეთ სამწუხარო და სავალალოა ასეთი მდგომარეობა. კაცი სოფლიდან-სოფლათ ვერ ბედავს წასვლას, რაც გინდა გასაჭირიც ქონდეს. აქას წინეთ ყაჩაღები დაუხდენ ერთ მღვდელს, რომელსაც მარტო გატარცვა არ დააჯერეს და კიდევ მოთხოვეს, რომ რამე ნაირათ მათ გასამხიარულებლათ ეცეკვა.

ტრიფონ კანდაჭაძე იშვილი.

\* \*

სოფ. სკანკეჯო. ნათქვამია: „საწყალ კაცს ქვა აღმართში მოეწყეო“, სწორეთ ასე მოუვიდა ჩვენ გლეხ-კაცობას, მაგრამ ქვა კი არა, სწორეთ მენი მოეწია. წრეწინდელმა წელიწადმა თავ-ზარი დასცა და ისედაც ზაფხულის მუშაობით მოქანცული და მოხრილი ჩვენი გლეხები უარესათ მოხარა და სასოწარკვეთილებათში ჩაავლო. შარშანდელი დანაცრული ევენახები წელს უარესათ დანაცრენ; ობმა ხომ შეასრულა ის, რაც ნაცარმა დააკლო. ეტყვიეთ გლეხ-კაცს: „კაცო! რა დაგმართა, ხომ ხედავ ევენახის მოსავალი გელუბება, ობი და ნაცარი ანადგურებს შენ ევენახს და შენ კი თითქოს ყურსაც არ იბერტყამ! იქნება არ გჯერა, როგორ შევლის გოგირდი ან შაბიამანი დანაცრულ და ობით წამდარ ევენახს?“

„რას მიბრძანებ შენი ჰირიმე, კიდევაც ეხედავთ, როგორ არ ეხედავთ ჩვენ დღეღუპას, მჯერა კიდევ, რომ წამალი უშეველის, მაგრამ სად განლაგეთ ფული, რომ ვიყიდო და ეუწამლო! ნეტა იმდენი ეიშოგო, რომ ათას გვარ გადასახადს გეცე პასუხი“. აი, მისი პასუხი. უნდა მოგახსენოთ კი, რომ ევენახი ჩვენებური გლეხ-კაცისთვის პირველი სახსარია ცხოვრებისა, სიმდიდრეა. ის მას თავს ევლება შეილსავით, წელში მოხრილი სულ მის კეთებაში და აღერსშია, მას შეჭხარის და მისგან მოვლის უხე ჯილდოს თავის შრომისას, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ძალიან ხშირათ უღალატებს ხოლმე მათ ბედი. რა ჰქნას ამ მდგომარეობათში ჩაეარდნილმა გლეხმა?! რითი გაცეცს პასუხი ხელმწიფეს, ღვდელს და ვინ იცის, კიდევ ვის და რას?! პურს ვერ გაყიდის წელს, რადგან წრეწინდელი მოსავალი ნახევარ წლამდის არ ეყოფა გამოსაკვებათ. არც თბილისია ახლო, შეშა მინც ჩა-

იტანოს და მით ცოტათი მაინც შეიმსუბუქოს თავისი გაქიერებული მდგომარეობა... რაც ობსა და ნაცარს გადაურჩა, ის სეტყვამ იმსხვერპლა. 9 სექტემბერს მოვიდა ისეთი საშინელი სეტყვა, რომ ერთ ხეზედაც არ გადაჩენილა ფოთლები, ისე გატიტვლა ყველა. ვაზის მაგიერათ, ევენახეში ცარიელი ჭიგოები-ლა დგანან. მეორე დღეს, 10 სექტემბერს, დღის რეის ნახევარზე, მიწა იძრა, რამაც 5 წამს გასტანა; ჯერ ნელ-ნელა დაიწყო ტოკვა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და მერე უტბათ მძლავრათ შეინძრა, ისე რომ რამდენიმე სახლის კედელი გაირღვა და მალლა მდებარე ნიეთები ძირს ჩამოაცივდენ.

მ. მ. ლი.

\* \*

სად. განჯა. აქაური დეპოს სამკითხველოს საქმე ცოტა არ იყოს ცუდათ მიდის; მიზეზი ის არის, რომ ახალმა დეპოს უფროსმა სამკითხველოს წევრებს გიროთ სამი მანეთი მოთხოვა. ეს განკარგულება გამოიწვია იმ ვარემოებამ, რომ ზოგიერთ ეაქბატონებს წიგნები კი მიაქეთ ბიბლიოთეკიდან, მაგრამ უკან დაბრუნებას აღარ ფიქრობენ. ამიტომ ამნაირი საშუალებისათვის მიმართვა საქირო იყო ბიბლიოთეკის კეთილ-დღეობისათვის. სამწუხაროთ, ეს ბეგერს არ ექანეცა და უმეტესობამ სულ დაანება თავი წვერობას. წვერების რიცხვი ორასიდან სამოცამდე ჩამოვიდა. ამ უმრავლესობის რიცხეში ქართველებიც ურევიან, რომლებიც, იმედია ისე დაუბრუნდებიან სამკითხველოს.

აქ ამ დღეებში ბ-ნ ალ. ნ-ძე ქართული წარმოდგენის გამართვას აპირებს ლატარიით. ეს ლატარიით წარმოდგენის გამართვა ჩვენთვის პირველი გეგონებაა და ვისურვებთ საქმე კარვა მოეწყოს. რეა ამ თვეს აქ ლამით გამოუთქმელი ჰეკა-ქუხილი იყო. თუმცა ლამის ორი საათი იქნებოდა, მაგრამ მაინც დიდათ შეაშინა მცხოვრებნი. იმათ ამართეს ხელები ზეცისკენ სალოცავათ. ცხრას, საღამოს ისეთი ქარი და წვიმა მოვიდა, რომ სულ ხეები და ხეხილები დამტვრია, ყურძენსაც არა ნაკლები ზარალი მისცა, რის გამო ფასმაც აიწია. ათს კიდევ, დღით 7 საათზე და 40 წუთზე, ისე საშინლათ იძრა მიწა, რომ ბეგერს სახლები დაწინა.

განჯკელი მეფაჯეჯე.

\* \*

ლაგოდეხი. ლაგოდეხში მიწის-ძვრა ძალიან განშორდა. მაისიდან დაწყებული ეს მეხუთეჯერ არი

ახლა აქ, \*) მაგრამ ასე საშინლათ და შესანიშნავათ, როგორც ამ უკანასკნელათ, არც ერთხელ არა ყოფილა. ეს მოხდა 10 ამ თვეს, დილის 8 საათზე. ხალხი ჯერ კიდევ სახლიდან არ გამოსულიყო, როცა უფერო შენობებმა ტორტმანი დაიწყეს და შესაზარი ხმაურობა გამოცეს.


ვინც დროზე გარეთ გამოასწრო და ჭკუა-გონება შეიჩინა, მას საზარელი და საოცარი სურათი წარმოუდგებოდა თვალ-წინ: საღაც გაიხედვდა; სულ ყველგან დაინახავდა, რომ დიდი და პატარა ქალი და კაცი, შიშით აცხცახებულნი და ფერმიხდილნი, ზოგი ცარიელი საცვლების ამარა, ზოგი ფეხშიშველა და ზოგიც ნახევრათ შემოსილნი, საღაც გარბოდნენ პირჯერის-წერით. და ვინც იმდენ სიყოჩაღესაც იქონიებდა, რომ ცხრველებსაც დააკვირებოდა, იგი შენიშნავდა, რომ ისინი, განსაკუთრებით ცხენები, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ გარბოდნენ და თავ-შესაფარს ეძებდნენ.

რამდენსამე წუთს შემდეგ ყველაფერმა ჩვეულებრივი ფერი მიიღო. ხალხი იმდენათ იყო შეშინებული, რომ ჯერ კიდევ სახლში შესვლას ვერ ბედავდა, გაოცებული ერთმანეთს შეჩერებოდნენ და ბოლოს, როცა ცოტა გონს მოვიდნენ, ფერი მიეცათ, ენა აუშვებდნენ და დარწმუნდნენ, რომ შიში აღარ იყო, მშვიდობით გადარჩენას ერთმანეთს ულოცავდნენ და ღმერთს მადლობას წირავდნენ.

ლაგადებსში არ დარჩენილა არც ერთი შენობა, რომ ამ მიწის ძვრით არ დაზიანებულიყოს: —ზოგან კედელი გახეთქა, ზოგან ატურები და ქვები ჩამოყარა და ბუხრები დაქცია. ზოგიერთ ეპტრებს კი მალედიან ქურჭელი გადმოუყარა და დაუმსხვრია.

განსაკუთრებით დაზიანდა კაზარმები. საბედნიეროთ ამ მიწის ძვრამ ისე ჩაიარა, რომ კაცი არ უშხვერაბლია. ამისთანა მიწის ძვრა ჯერ აქ არ ყოფილა და არც არავის ახსოვს, ამბობენ აქაური მცხოვრებლები და ზედ უმატებენ: ეს მეორეთ მოსელის ნიშანიაო. ამ ამბავმა ბევრი სალაპარაკო მასალა მისცა აქაურ საზოგადოებას.

ატკემ ბეჭედასილი.



- \*) პირველთ იძვრა 11 მაისს ნაშუადღევს 6 საათ.
- მეორეთ — — 12 მაისს ნაშუადღევს 11 ს.
- მესამეთ — — 27 აგვისტოს, დილის 10 ს.
- მეოთხეთ — — 7 სექტემბერს ნაშუადღევს.
- და მესუთეთ კი 10 სექტემბერს, დილის 8 ს.

კრიმინალური ანთროპოლოგია.

On ne peut plus haïr l'être qu'on a compris.

Guyau.

I.



გერ ოცი წელიწადია მას აქეთ, რაც მეცნიერებას მიემატა ერთი ახალი შტო—კრიმინალური ანთროპოლოგია,—რომლის შემქმნელათ გამოჩენილი პსიხიატრი ჩეზარე ლომბროზო ითვლება. იმდენათ საგულისხმეოა ეს სწავლა, რომ მთელი ევროპის განათლებული საზოგადოება დიდი გულმოდგინებით ყურს უდევს სხვა-და-სხვა მეცნიერების კამათს მის შესახებ. როგორც ყოველ ახალ მოძღვრებას ჩვევია, ლომბროზოს სწავლასაც გამოუჩნდნენ მომხრენი და მოწინააღმდეგენი. 1876 წ. ლომბროზომ, რომელიც ტიურინშია პსიხიატრის პროფესორათ, გამოსცა თავისი შესანიშნავი თხზულება: „L'homme criminel“ (étude anthropologique et medicolegal, par Cesare Lombroso), და ეს თხზულება შეიქნა დედა-ბოძი ახალი სწავლასა. იტალიურ ენაზე (ლომბროზოს სამშობლო ენა) ეს წიგნი უკვე ხუთ ჯერ და-სტამბა, ფრანგულათ კი სამ ჯერ. ამ ოცი წლის განმავლობაში დაარსდა მთელი სკოლა, დაიწერა მრავალი სამეცნიერო გამოკვლევა და თვით მოძღვრებას „სანთროპოლოგო-პოზიტური სკოლა“ დაერქვა. ხსენებულ სკოლას მიზნათ აქვს დანაშაულის და დამნაშავეს შესწავლა ყოველ მხრივ და ამასთანავე იმ კითხვის გამოკვლევა, შესაძლებელია თუ არა თვით დანაშაულობის მოსპობა.

ლომბროზომ შეაგროვა აურაცხელი საბუთი, რომლის საშუალებით ის გემტკიცებს, რომ მომეტებული რიცხვი დამნაშავეთა ჩადას დანაშაულის იმიტომ, რომ თან-დაყოლილი ლტოლვილება აქვს მისდამი; რომ ამ გეარა პირები, როგორც სულიერათ, აგრეთვე ფიზიკურათ არან ანომალური ანუ მახინჯნი. დამნაშავეს აგებულების მეცნიერულათ განხილვა და შესწავლა დაგვარწმუნებს ამაში, მიუხედავთ იმისა, ჩაიდინა დამნაშავემ რაიმე დანაშაულობა, თუ არა. შეგვიძლია არ დავეთანხმოთ ლომბროზოს და მის თან-მავრეთ იმ ნიშნების შესახებ, რომლებიც იმათ დამნაშავეს ტიპს მააწერეს, მაგრამ ამგვარი ტიპი საზოგადოათ რომ არსებობს, ამაში ჩვენ არ ვეჭვობთ.

ღრმა შესწავლა ჩვენ დაგვანახებს, რომ მთელი ის სიბოროტე, რაც ადამიანშია, მას თან-დაყოლი-

ლი აქვს; ხოლო ეს სიბოროტე იზრდება, მატულობს და თითქმის მთელ სულიერ მხარეს ჩრდილავს, თუ რომ აღზრდა და პირობები, რომლებშიაც იგი იმყოფება, მას ხელს უწყობენ. აქედან იბადება საკითხავი: შეგვიძლია დავსაჯოთ ამნაირი პირი? თუ კი მეცნიერებამ დაგვანახა, რომ დამნაშავე თავისი სულიერი და ფიზიკური აგებულებით წააგავს ერთი მხრით ევლურ კაცს ატავეიზმის ძალით (ერთნაირი ბიოლოგიური კანონია), ხოლო მეორე მხრით იგი არის სულიერათ ავთმყოფი, ამგვარი პირი ღირსია სიბრალულისა და ლომობერებისა ჩვენი მხრივ და არა იმ სასტიკი სასჯელისა, რომლითაც ჩვენ აქამოდ მას ვსჯით სიძარბოსის და კანონის სახელით.

Ferri-ს აზრით, რომელიც ლომბროზოს სწავლის მიმდევარია, სასჯელი ამგვარ დამნაშავეს უნდა შეუმსუბუქდეს, ხოლო უმთავრესი ყურადღება იმაზე უნდა იყოს მიქცეული, რომ დამნაშავემ ხელმეორეთ აღარ ჩადინოს რაიმე დანაშაულობა. ამიტომ ამ მეცნიერის აზრით უნდა დაარსდეს კოლონიები, სადაც უნდა მოთავსდეს განსაკუთრებით დამნაშავენი.

არ შეგვიძლია აქვე არ მოვიყვანოთ ტენის სიტყვები, რომლებიც ამავე კითხვას შეეხება. ერთ თავის წერილში ლომბროზოს მიმართ ტენი, სხვათა შორის, ამგვარ დამნაშავეთა შესახებ, აი, რას ამბობს. „როდესაც დანაშაულობა არ ეთანხმება და ეთანასწორება დამნაშავეს სულიერ თვისებას და მის აზროვნებას, მაშინ შეიძლება და საჭიროცაა პატიება; მაგრამ რამდენათ უფრო მეტი თანხმობა დანაშაულობის და დამნაშავეს სულიერ თვისებათა შორის, იმდენათ იგი უფრო დანაშაულია. თუ დამნაშავეს ბუნება მართლა იმ გვარაა, როგორც თქვენ (ლომბროზო) ცდილობთ დაგვიმტკიცოთ. თუ დამნაშავე თვისი აგებულებით, ერთი მხრით წააგავს ევლურ კაცს, ხოლო მეორე მხრით ის სულით ავთმყოფია (fou moral), რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ის ისე იქცევა, როგორც მას თვისი სულიერი აგებულება ეუბნება; ქურდობა, ცარცვა-გლეჯა, კაცის კვლა, ეს სულ მხოლოდ მისი ბუნების შედეგია. თუ მართლა ეს დამტკიცებულ იქნა, განაგრძობს ტენი, უკეთესი იქნება დამნაშავეს სრულიად მოსპობა; მაშასადამე, დამნაშავეს სიკვდილით დასჯა, ჩემის აზრით, უსაუფლო არ იქნება“. რასაკვირველია, ამგვარმა სხვა-და-სხვა ნაირმა დასკვნამ უფრო კიდევ მეტათ ააღელვა მკითხველი საზოგადოება და უფრო მეტი ყურადღება მიიქცია.

კრიმინოლოგიური ანთროპოლოგიის სხვა-და-სხვა კითხვების გამოსაკვლევათ მუშაობენ ექიმები (უმეტესობა), იურისტები და სოციოლოგები.

უმთავრესი საუფძველი, რომელზედაც არის

აშენებული ეს სწავლა, არის ანატომია, ანთროპოლოგია და პსიხიატრია.

II.

რადგან ლომბროზო არის შემქმნელი ამ ახალი სწავლისა, ჩვენ ჯერ ამ მეცნიერის მოძღვრებას მოვიყვანთ და შემდეგ მოვიხსენიებთ იმას, თუ რაში არ ეთანხმებიან ლომბროზოს მისი მოწინააღმდეგენი და რაში მდგომარეობს ნაკლი ამ შესანიშნავი მოძღვრებისა.

უმთავრესი თხზულება ლომბროზოსი, სადაც საეცებით არის გამოთქმული მისი მოძღვრება, არის: „L'homme criminel“ (\*), რომელშიაც ლომბროზო ცდილ ბს დაგვიმტკიცოს, რომ დამნაშავე თავისი სულიერა და ფიზიკური აგებულებით სრულიად განსხვავდება საღ ადამიანისგან და წარმოადგენს განცალკევებულ „ტიპს“ დამნაშავეისას; რომ ეს უკანასკნელი ატავეიზმის — ერთნაირი განსაზღვრული ბიოლოგიური კანონის ძალით — წარმოადგენს მზგავსებას ევლურ კაცთან, როგორც სულიერი, აგრეთვე ფიზიკური მხრით; გარდა ამისა თავისი სულიერა ბუნებით დამნაშავე წარმოადგენს სრულ მზგავსებას — ანალოგიას — ზნეობრივ შემოღილისას (fou moral). აი, ეს არის სქემა ამ სწავლისა. ლომბროზო აურაცხელი მაგალითების საშუალებით გვარწმუნებს, რომ ადამიანს ღრმათ აქვს თავის ბუნებაში გამჯდარი დანაშაულისადმი ლტოლილეობა. ლომბროზო ამბობს: თვალი რომ გადავებლოთ გარშემო ბუნებას შეენიშნაეთ, რომ არამც თუ ადამიანს აქვს ამგვარი მიდრეკილება, არამედ ის შეადგენს პირუტყეთა კუთვნილებას და, ასე გაშინჯეთ, მეცნარეებიც კი იჩენენ ამ თვისებას. ჩენანის სიტყვის არ იყოს, განაგრძობს ლომბროზო, თვით ბუნება გვაძლევს უგრძნობლობას და უსინიდისობის მაგალითს (la nature nous offre l'exemple de la plus implacable insensibilité et de la plus grande immoralité).

ლომბროზოს დარეინის თხზულებიდან მოჰყავს მაგალითები მეცნარეთა ცხოვრებიდან, რომლებიც მოგვაგონებენ იმ მოვლენას, რასაც ჩვენ დანაშაულობას ეძახით. აი, ერთ იმ მაგალითთაგანი, რომელიც გვარწმუნებს, რომ მეცნარეთა შორის ხდება დანაშაულობის მზგავსი მოკლენა:

\*) ჩვენ ვისარგებლეთ ფრანგული ენით, თუქცა ლომბროზოს საშობლო ენა იტალიურია. მეორე თხზულება, სადაც ამავე კითხვას შეეხება ლომბროზო არის: L'Anthropologie criminelle et ses récents progrès par Lombroso.

არის ერთ გვარი მცენარე, რომლის ფოთოლზე დაჯდება თუ არა რომელიმე პატარა მწერი, ფოთოლი მაშინვე შეიკუმშება, ასე რომ მწერი შუშში მოექცევა; ამავე დროს ფოთოლს გამოაქვს ერთგვარი სისველე, რომლითაც იგი ისე ინელვს ამ მწერს, როგორც ჩვენ კუჭის წვენით საქმელს.

ამგვარი მოვლენა, მზგავის დანაშაულობისა, უფრო ხშირია პირუტყვთა შორის. Ferri-იმ ოც-და ორ გვარი მკვლელობა ამაჩინა პირუტყვთა შორის; მაგ., ერთი მეორეს ჭამს საქმლის მოთხოვნის გამო, ცუდი მოქცევისათვის; შენიშნულია რამ გვარი მოტივებიც კი, რომლებიც მხოლოდ ადამიანთა შორის არსებობენ: თავ მოყვარობა, სიძუნწე, მსუნვაობა და სხვა.

მოხდება ხოლმე, რომ ერთი და იგივე შთამომავლობის პირუტყვი ჭამენ ერთი მეორის ხორცს, რაც არ არის ჩვეულებრივი მოვლენა. პროფესორი Bizzozzi-ის ლაბორატორიაში ერთმა ძაღლმა მეორე შეჭამა, თუმცა მშვიდი არ იყო. შენიშნულია ქურდობა პირუტყვთა შორის; ამით არიან განთქმული კატა და კაქკაქი. ხშირათ გამოაჩნდებათ პირუტყვებს ენებათ ღელვა და აუქტები; კლავენ ერთი მეორეს სიმძლევარის, ეჭვის გამო; თითქოს დასჯაც იციან პირუტყვებმა: მაგ., მიმუნები და ყვავები კლავენ ხოლმე იმათ, ვინც არ ემორჩილება მათ წრის დადგენილებას. ჭიანჭველების ცხოვრება კარგ მაგალითს გვაძლევს იმისას, თუ სადამდის მიდის მსუნვაობა და გაუმადლობა დაბადი სულიერ არსებათა შორის; არის ერთი გვარი ჭიანჭველებსა, რომლებიც მითი არიან შესანიშნავი, რომ იჭერენ ერთგვარ მწერს — ტილს და საგანგებოთ აშენებენ, უფლიან; ეს იმიტომ, რომ გამოაქვს ის ტუბილი სისველე, რომელიც ამ ტილს გამოაქვს. ისეთი დიდი სიხარბეა ჭიანჭველებს შორის, რომ მთელი ნადირობა გაიმართება ხოლმე ამ ტილების დასაჭრათ. საქმე ომამდინაც მიდის ჭიანჭველებს შორის; ერთი ჯგუფი ჭიანჭველებისა დაეცემა მეორეს, რომ წაართვას ეს ტილები. ხშირათ ერთი მოდგმის ჭიანჭველები მეორე მოდგმისას ტყვეთ იჭერენ და მოწებათ იხდიან.

ის პირუტყვები, რომლებიც თავისი ცუდი მიდრეკილებით მეტათ განიჩივიან თავის ჯგუფში, აღნიშნულნი არიან ხოლმე ფიზიკური უსწორო აგებულებით. მაგ., შენიშნულია, რომ ის ცხენი, რომელსაც ბრუნდვ, ვიწრო შუბლი აქვს, რაც მისი ტვინის ცუდ განვითარებას მოწმობს, ნამეტანი გიჟია და ვერაფერ ევრ გახედნის; ასეთ ცხენებს არაბების ჯოგადან განდევნიან ხოლმე, რადგან ეშინიათ მათი გამრავლება. ზოგიერთი ამგვარი პირუტყვის გასწორება შეიძლება დასჯით, მაგრამ უმეტეს შე-

თხვევაში დასჯა უნაყოფოა; ისევ კარგი მოქცევით უფრო მეტი შეიძლება. (Le peu d'utilité des peines et la possibilité d'obtenir des resultats meilleurs moyens moins brutaux). —

გ. ბაღჩიძე.

(შემდეგი იქნება).



ტ ა ლ ლ ე ბ ი.



ხოვრების ტალღამ კელავ შემოჰკრა ჩემ ბედ-კრულ ნავსა და მისცა მსხვერპლათ განრისხებულ, მღელვარე ზღვასა;

ამათ ვიქნე მოქანცული ხელით საქვსა, <sup>1)</sup> რა შეუძლიან მის ზვირთებთან უძლიურის ხელსა! მაშ გასწი, ნავო, ალალ-ბედზე აჰყევი ტალღას, ქარი გვებნება საფლავის პირს იაენანისას.

ღე, გვზიდოს წყალმა თვის ნებაზე, სითრო-გორც უნდა, განა არ ვიცი, რომ ოხერ კეზაერს გზა გაგიბრუდდა?!

ღეე, გარეგან შემომცარცვოს ალავის ქარმა <sup>2)</sup> ისე, რომ შეილი ვეღარ მიცნოს დედამ საწყალმა;

ღეე, მშობელსა გლახ აუხდეს შეი სიზმარი, კარს მიყენონ სახიარო <sup>3)</sup> შეილის ცხედარი! მაინც გასწივე, უკან ხევა გვიანლა არა, ანკი სად წახეალ, მყუდროება ქვეყნათ სად არი?


—  
თუ ანგელოზი გადმოსტყორცნა მაღლით ზეცამა,

როცა ურჩობა განუცხადა ზენას თამამა, რათ გამიკვირდეს, არ დამინდოს ცოდელი მიწამა,

რათ გამიკვირდეს, თუ ცხოვრებამ მე არ მიწამა. გასწი, გსწივე, თან წარიღე წმინდა ტაძარი, ღეე, იქიდან გაისმოდეს წყევლისა ზარი, ღე, იგი იყოს ჩვენი აშბის ქვეყნათ მოხრობელი, მოსტქვას ვით გეტანჯავს ცხოვრებისა მსახველი ხელი.

<sup>1)</sup> საჭე ზავის მოსასმელი ნიხაბი.  
<sup>2)</sup> ალავის ქარი ქარტესილი (იხ. II ფსალმუნი დავითისა).  
<sup>3)</sup> სახიარო, დაქესილი, დამასანჯუბული.





*რ. მ. მარცხაძე*

საფრანგეთის უფროსის სურათი

გასწი, გასწივე ალალ-ბედზე აჰყევი ტალღას,  
ქარი გვებნება საკლავის პირს იენანინას!

როცა მოხვეის უკუქცეულ მძინვარე ტალღამ  
მეორე ტალღას მიგახებთქოს უფრო მძინვარეს,  
და გაცოფებულ, აღქაფებულ ზღვისა უფსკ-  
რულში  
ძრწოლით დაეცქერდეთ პარდაღებულ, ციესა  
სამარეს;  
მაშინ ქვეყნისკენ ერთხელ კიდევ ვიბრუნოთ  
პირი,  
უკანასკნელათ შესაბრძოლი დაეკრათ საყვირი,  
მით აღვასრულოთ ერთმანეთთან ჩვენ დანაპირი,  
და მიუატოვოთ ამ ქვეყნისა კიდევ-ნაპირი!  
გასწი, გასწივე, თან წარიღე წმინდა ტაძარი,  
დე, ზღვიდანა ქარმა ზილოს მიწისკენ ზარი.  
გასწი, გასწივე ალალ-ბედზე აჰყევი ტალღას,  
ქარი გვებნება საფლავის პირს იენანინას!

აქ არ დაგერჩება გულის სატრფო, შენ, ჩემო  
დღეა,  
თან არ წაგყეება სინაუელი ბედნიერ ღროთა  
გასწი, იარე მარტოთ-მარტო, ვით აქნობამდის,  
მარტოობაში უფერულათ დღეი მიჰქროდა.  
ახლოა წუთი, წინათ გრძნობა ეხლავე გლო-  
ვობს,  
შენ დაიღალე ზღვა კი კვალათ შფოთავს, ბო-  
ბოქრობს;  
ახლოა წუთი, მიუატოვებთ სამშობლო არეს,  
რომელიც მხოლოთ შეგეასმევედა ბაღლამ-სიმწა-  
რეს;  
ის უმადურ ძეს არ დამტირებს, არ დამინანებს,  
და გულცივათა გადმოხედავს ჩემსა სამარეს;  
დე, ეკონოს, რომ უყვარდა მხოლოთ იმ ქარ-  
თველს,  
რომელიც მისთვის ცბიერებით აღაპყრობდა  
ხელს!

გასწი, გასწივე, თან წარიღე წმინდა ტაძარი,  
დე, ზღვიდანა ქარმა ზილოს მიწისკენ ზარი.  
გასწი, გასწივე, ალალ ბედზე აჰყევი ტალღას,  
ქარი გვებნება საფლავის პირს იენანინას!

ი. ეკლაშვილი.

# უ ც ხ ი ე თ ი დ ა ნ .

სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში

II\*)

ს კ ა ლ ა .



გვისტოს 17 სწავლა დაიწყო დღის 7 საათ-  
ზე; სკოლაშია მეოთხე განყოფილება. პირვე-  
ლი გაკვეთილია „იხზულება“. გუშინდელი  
გეოგრაფიის გაკვეთილი დღეს უნდა დაწერონ. მას-  
წავლელმა კლასი დაფაზე დასვა შემდეგი კითხვებ-  
ი: ელბის და რეინის ხეობების ერთმანეთთან შედა-  
რება. 1) სად იღებს სათავეს? 2) რას ერთვის? 3)  
მათი ნაფოსნობა, სავაჭრო ქალაქები და პორტები;  
4) სიმბერენი; 5) რეფორმაციის ღროინდელი ნაშთ-  
ნი და ისტორიული მოკანებანი; 6) შეენიერი ბუ-  
ნებით შემკული ადგილები. თითოეულ ამ კითხვას  
ბავშვები რიგ-რიგათ ხსნიან და შესაფერ პასუხს იძ-  
ლევიან. პასუხში არ ცდებიან, რადგანაც ეს გუშინ  
ისწავლეს, ხოლო ზოგი თავის აზრს გძელი წინადა-  
დებით გამოთქვამს; მასწავლებელი იკითხავს: ვის შე-  
უძლია ეგვე მოკლეთ გამოსახოს? რომელიმე უგებს.  
კიდევ მოკლეთ, დიძახებს მასწავლებელი და ასე ყვე-  
ლა პასუხი, რაც შეიძლება, მოკლენ წინადადებთ გა-  
მობატულებას ღებულობს. როცა ეს განიმეორეს და  
დანიეჯითეს, შეუდგენ წერას. დაწერილი რეეულები  
ჩაბარეს მასწავლებელს გასასწორებლათ. მეორე გა-  
კვეთილია „ლამაზი წერა“. მასწავლებელმა დაფაზე  
დაწერა ასო „ე“ ორ ნაირათ და მიმართა შეგირ-  
დებს: ეს ასო იწერება ასე ორ ნაირათ. მარა ეს მე-  
ორე არ ვარგა, უნდა იწერებოდეს ისე, როგორც  
პირველათ დაწერე. შემდეგ დაწერა ორი სიტყვა,  
რომელშიაც „ე“ ურევია. ბავშვმა გადაწერეს რამ-  
დენიმე ჯერ. ქალებს, რომელნიც ჩეულებრივ ერთ-  
ათ სხედან, გამოაქეთ მასწავლებელთან რეეულები  
საჩვენებლათ; ამ ღროს ვაყები თავისთვის კითხულო-  
ბენ „საკათხავი წიგნის“ იმ გვერდს, რომელიც შემ-  
დეგ გაკვეთილზე დიკტანტათ უნდა დაწერონ. ქალებ-  
მა გაათავეს რეეულის ჩვენება და თავის მარეე შეუ-  
დგენ იმავე სადიკტანტოს კითხვას; ვაყებს რეეულები  
გამოაქეთ. ესეც გათავედა, წიგნები დახურეს და დი-  
ტანტისათვის მოემზადენ. მასწავლებელი ეუბნება თი-  
თოეულ წინადადებას, ერთი შევირიდ იმეორებს და  
შემდეგ წერენ. ესეც დასრულდა. მასწავლებელი კი-  
თხულობს წიგნიდან იმას, რაც დაწერეს; ბავშვები

\*) ის. „კვალი“ № 39.

თვალს ადვენებენ თავიანთ ნაწერს და შეტკობებენ ასწორებენ; რვეულები რჩება მასწავლებელთან. 9 საათი შესრულდა. აქ 15 წუთი დასვენება. ამ ხნის განმავლობაში მასწავლებელი ქამს რასმეს. ეს არის მისი მეორე საუზმე. მეტ მიმიწვია საუზმეზე. მის ბინას შეადგენს ოთხი ოთახი, სამზარეულოთი და ერთი პატარა ოთახი მოსამსახურესათვის. პირველათ შევედიტო სასტუმრო ოთახში, სადაც დიასახლისი თავისი პატარა ვაჟით დაგვიხდა.— თქვენი ქვეყნის კაცი არასოდეს არ მინახავსო— გაცნობისთანავე მოთხრა.— არ არის ვასაკვირალი, ძრიელ ვამპარტაენობთ, ახარე. ბულათ არაღის ვეჩენებთ თქვა— მიუგე მე. მასპინძლებმა გაიცინეს; ამ ჩვენ მუსაფეში მოსამსახურე გოგამ საუზმე შემოიტანა: კალბასი, შვეიცარიელი ყველი, პური, ლუდი და ლენო. მასწავლებელმა მოთხრა: დღეში ხუთ ჯერ ეჭამო: დილას შეიღის ნახევარზე, 9 საათზე, 12 საათზე (სადალი), 4 საათზე და 7 საათზე (ვახშამი).— თქვენ სულ ქამაში ყოფილხართ მეთქი, შეენიშნე,—მაშ, როგორ გნებავთ ამდენ შრომას და თავის ტეხას აუფიდეო. ასე გამოგვაქვს თავი, თორემ ცხოვრება გაჭირდებოდაო. მე ეთხოვე მისი ცხოვრების წყაროს შესახებ რამდენიმე ცნობა გადმოეცა, მარა ამ დროს გაკვეთილის დაწყების დრომ მოაწია და სკოლისაკენ გავეშურეთ. მხოლოდ ოთახები დაეთვალიერე. საწოლი ოთახის კარებს მივადექი, მოვიწინავე უკან დაბრუნება, მარა მასპინძელ ქალმა გააღო კარები და მიმიპატიჟა: შეგიძლიათ აქაც შემოიძინდეთო. შევედი, რასაკვირვლია. ეს ოთახებში მოგზაურობა საქართველო და მასწავლებელთან ერთათ სკოლის დარბაზში გავჩნდი. შეიძლება მკითხოთ: სოფლის მასწავლებლის ბინის მორთულობა. ეს უეჭველათ არ ჰგავს სპირიდონ მცირიშვილის ბინას („ჩვენი ქვეყნის რაინდი“). ეს მოგაგონებთ შეძლებული კაცის ოჯახს. მე მეგონა რამდენიმე ფაბრიკანტის ოჯახში ვარ მეთქი. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ აქ სოფელში მასწავლებლობა ქველ-მოქმედობა კი არა, კი გამოსარჩენი ალაგი ყოფილა. საიდან მომდინარეობს ეს? მარა ეს ნაადრევი კითხვაა, ჯერ ისევ სკოლას მივუბრუნდეთ. დარბაზში ზის მესამე განყოფილება. სამღეთო სჯულის გაკვეთილია, რასაც ორივე განყოფილება ერთათ ვადის. ეს გაკვეთილი განიყოფება ორათ, კატეხიზმო (მარტო მეოთხე განყოფილებისათვის) და სამღეთო ისტორია. დღეს ეს უკანასკნელია. თითოეულ მოსწავლეს სრული დაბადების წიგნი უღვეს წინ (ძველი და ახალი აღთქმა). მასწავლებელის ბრძანებით გადაშალეს მოსეს მეორე წიგნის მესამე თავი, ერთი ხელი მეორე ხელზე გადასკენეს ისე, როგორც მათ ეკლესიაში მლოცველები, და წიგნზე დააწყეს.

მასწავლებელი შედგა მომადლოთ, კათედრაზე, და დაიწყო „მოსეს მოწოდების“ მოთხრობა იმ კილოთი, როგორც მათი მღვდელი ეკლესიაში ქადაგებს. უამბო ორი თავი და შემდეგ მეოთხე განყოფილების შეგირდათ კითხვები მისცა; ისინიც რიგთანა უგებდენ, რაცა ამტკიცებს, რომ ეს ისტორია მათთვის სრულიად ახალი არ ყოფილა. მესამე განყოფილება მხოლოდ ყურს უგდებს. ეგვე თავები ხმა მაღლა წაიკითხეს მე-IV განყოფილების მოწაფეებმა, თითოეული თითო მუხლს კითხულობს.—აბა, ეს შეგიძლია მოყოლა, დაეკობა მასწავლებელი. ორივე განყოფილებამ ხელი ააშვირა; ახლა კი ჯერ მიდგა მესამეზე, უფრო ხშირათ ამათ კითხავს. გამოჩნდა, რომ ეგვე ამბავი არც ამათთვის არის სრულიად უცხო, და აი, როგორ: მესამე განყოფილებამ ეს გაიცნო მეორე განყოფილებაში შემოკლებული სახელმძღვანელოს საშუალებით; ხოლო მე-IV განყოფილებამ დაბადების საშუალებით მესამე განყოფილებაში ისე, როგორც ახლა უსანასკნელი სწავლობს. ამნაირათ, სწავლის სისტემა არაა ერთი ამბავის ერთხელ შესწავლა და მერე გვერდზე მიგდება, არამედ რამდენიმე ჯერ შესწავლა და ყოველთვის უფრო და უფრო ვრცლათ; ყველა საგნის შესწავლა ამ პრინციპზე არის აკეთებული. ბავშვისთვის ერთი და იგივე გაკვეთილი ნაცნობიც არის და უცნობიც, ადვილიც არის და ძნელიც. რამდენათაც მას საზოგადო წარმოდგენა აქვს, იმდენათ ნაცნობია, რამდენათაც დაწვრილებითი ცნობა, ფართო წარმოდგენა აკლია, იმდენათ უცნობია. მთელი კითხვა იმაშია, რომ ვიწრო წარმოდგენა გაფართოვეს, პატარა ცნობა გადიდეს.

მეოთხე გაკვეთილია სიმღერა. ორივე განყოფილებამ ერთათ ახალი სიმღერა უნდა ისწავლონ. მასწავლებელმა დაუტარა სკოპკა და ბავშვებს ხმა მისცა. ყველას ლექსთა წიგნი ნოტებით წინ უღვეს (ნოტები არ იციან). პირველათ იგალობა მასწავლებელმა ნაცნობი ლექსის პირველი წინადადება, შემდეგ ეგვე განიმეორეს მეოთხე განყოფილების ვაჟებმა და ბოლოს ქალებმა; შემდეგ ქალებმაც და ვაჟებმაც ერთათ, და ბოლოს მთელმა კლასმა. ასე ისწავლეს რამდენიმე წინადადება. ეს ლექსი ასე იწყება: „მე ვარ გერმანელი ბავში“. მეოთხე განყოფილებას მისცა საკითხავი გაკვეთილი და სახლში გაისტუმრა. დარჩა მესამე. თერთმეტი საათის ნახევარია.

გაკვეთილია „თხზულება“. ქალებს მასწავლებელთან გამოაქეთ სახლში დაუჯან გაკვეთილი ანგარიში და გადმოწერი. ვაჟები ამ დროს ზეპირათ ამბობენ სახლში დასწავლილ ლექსს. ლექსის შინაარსი, სამღეთო წერილიდანა აღებული და დაყოფილი მუხლებათ. თითოეული თითო მუხლს ამბობს. მა-

სწავლებელი ამასაც ყურს უგდებს და დაფებსაც აწვორებს. ერთს შეცდა და სამ ჯერ გაამეორებინა. დაფაზე 'მეცდომებს მხოლოდ ხაზს უსვამს და ციფრებს წერს: 5, 7, 10 და სხვ. ეს ნიშნავს იმას, რომ შეგირდმა იმდენჯერ უნდა გადაწეროს შეცდომით დაწერილი სიტყვა. ქალებმა მოათავეს დაფების ჩვენება და ლექსის მბობა დაიწყეს; ვაჟებს კი დაფა მოაქვთ. ეს გათავდა. მოემზადენ თხზულების დასაწერათ. მასწავლებელმა დაფაზე დაწერა: „მოსეს აღზრდა“, რაც წინა დღეს გაკეთილათ ჰქონდათ. ახლა ეს ისევ ჰკითხა, რომ საკმარისათ გააგებინოს, თუ როგორ უნდა დაიწეროს და შეუდგენ დაფებზე წერას. ნაწიეარი საათი გასტანა. დაფები ჩაალაგეს. უკანასკნელი გაკეთილია „კითხვა“ ისე, როგორც გუშინ. 12 საათზე სწავლა გათავდა.

მიხატება. მეოთხე განყოფილების წასვლის დროს მასწავლებელმა დაურბა ორი საკვირაო გაზეთი (შაბათია), ერთი რელიგიური შინაარსისა, სახელათ: „ქრისტიანთა მოამბე“ და მეორე საერთო: „ახალი გერმანული საოჯახო გაზეთი“. აქ განსაკუთრებით ფრანგ-გერმანელთა ომია აწერილი. ორივე იბეჭდება შტუტგარტში და თითო ნომერი 3 პფენინგი ღირს. ორივეს სოფელი იწერს თავის ხარჯზე.

ნ. ჟორდანია.

(შემდეგი იქნება)



ჩვენი მწერლობა. \*)

\*) „გალები“, მოთხრობა განდევლისა, „მოამბე“, № VII; „გალები“, მოთხ. მისივე, „მოამბე“, № VIII, 1896 წ.



მოზირობა—მარგალიტთ მძივთ აწყობაა, — თქვეს სპარსელებმა: „პროზაობა კი—მარგალიტთ პნევა“.

ბ. განდევლომა დაგვიმტკიცა „მოამბის“ მე-VII-ე და მე-VIII-ე ნომრებში, რომ მარგალიტთ ამწყობი და მარგალიტთ გამჟნევი ზოგჯერ შორი-შორ არიან ერთმანეთსაგან და ერთი სულის არსებაში ვერ მოათავსდებიან ხოლმე.

ბ. განდევლომა ამოიღო თვის გულის სიღრმიდან ზედი-ზედ ორი პაწია მუჟა მარგალიტები და, იმის მაგიერათ, რომ მძივებათ აეწყო ეს საუნჯე, რაიცა უფრო ეხეზება, ისეთი ღონიერი, მძლავრი გრძნობით დასცა ისინი „მოამბის“ ფურცლებზე, რომ თვალ-უწვდენათ შორს განიფანტენ, და დღეს ჩვენ ამ ფურცლებზე ვერაფერს ვხედავთ, თვინიერ ცარიელეებისა, და ამ ცარიელეებს „მოამბის“ მე-VII-ე №-ში ჰქვია „თვალეები“ და „მოამბის“ მე-VIII-ე №-ში— „კბილები“.

ბით დასცა ისინი „მოამბის“ ფურცლებზე, რომ თვალ-უწვდენათ შორს განიფანტენ, და დღეს ჩვენ ამ ფურცლებზე ვერაფერს ვხედავთ, თვინიერ ცარიელეებისა, და ამ ცარიელეებს „მოამბის“ მე-VII-ე №-ში ჰქვია „თვალეები“ და „მოამბის“ მე-VIII-ე №-ში— „კბილები“.

ჟურნალის ფურცლებს დააჩნდა მხოლოდ ბ. განდევლის მძლავრი განზრახვის კვალი, და სხვა არაფერი.

ღმერთო, რა ადვილია ჩვენში მოზირობა და რა ძნელია ჩვენში პროზაობა! ყველგან აგრე ვახლავთ, ჩვენში კი ყველაზე უმეტესათ. რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ მარტო მენანიკური მიზეზია? ნუ თუ იმიტომ არის, რომ მარგალიტების ძაფზე ამწყობიება უფრო ადვილია და ყოველთვის ღამაზათ გამოდის, მარგალიტების ღამაზათ შემოფანტებას კი მეტი ცოდნა—გამოცდილება უნდა, ფიგურათა საიდუმლო ესაქიროება?

ეს ხომ სპარსული ახსნა იქნება, მკითხველი კი ჩვენგან ქრისტიანულ მსჯელობას მოვლის.

ჩვენ ვერაფერს ვიტყვი ამაზე, გარდა იმისა, რომ ამის მიზეზია ჩვენი ქართული სულის წყობილებაა, ჩვენი ქართული გულის ხასიათი, და ამას ჩვენი მკანური წარსული მოწმობს, უმეტესათ კი ჩვენი ქართული სულის მოუწყობლობა, ჩვენი ქართული გულის უხასიათობა.

ჩვენ ვგალობთ, ვეკიჟიკობთ, „ვით ფრინველნი გირევანნი“, და, როგორც ჩიტების სტენა-რაკრაკი არ ჩაწვდება დედა-მიწის გულის საიდუმლოს და მხოლოდ მის გარეგან ბუნებას შემოეფანტება ხოლმე, ასე არ წვდება ქვეყნიერების და ცხოვრების გულის საიდუმლოს ჩვენი ქართული სტენა—რაკრაკი და მხოლოდ მის გარეგან ბუნებას დაჰკრთის და ენაცვალდება.

პოეზიაცა და პროზაც მხოლოდ იქ ხარობს ყვეილოენებს და ნაყოფ-ერებს, სადაც აღმომან ბუნების და მეტადრე თავისი მოძმის სულსა და გულში ჩაუხედნია, ამ სულისა და გულის საიდუმლო ჩარხების ტრიალი გაუცნია და შაუსწავლია, სადაც განათლებამ მოჰფინა ამ საიდუმლობას თავისი უკვდავი შუქი.

ჩვენი განათლების უსუსურ შუქს კი ჯერ-ჯერობით ქვეყნის საიდუმლოში კი არა, ჩვენი პატარა სამშობლოს გულშიდაც არ ჩაუხედნია და მხოლოდ მის გარეგნობას, მის ფორმას შეჰხარის და დასთამაშებს, და ჩვენ და ჩვენი ლექსიცა და პროზაც ვაპტრიოტობთ, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ფორმით და არა გულით.

ჩვენი ქართული უხასიათო გული კი სტებება

\*) ის. კვალი № 39.

ჩვენს ქართული გარე-პატრიოტული კიკიკით და სულ არ ფიქრობს მისგან თავის დახსნას და განათლებას.

ამ საგულისხმეო საგანს ჩვენ შემდეგ ხშირად დაუბრუნდებით, ახლა კი დრო არის ბ. განდევლის „თვალეზსა“ და „კბილებს“ მივხედოთ.

პროზა საზოგადოთ ჩვენ, ქართველებს, და კერძოთ ბ. განდევლის, იმიტომ არ გვემარჯვება, რომ მისი წყობილება, მისი მეხანიზმი მეტათ რთული და დნჯია, ღრმა დაკვარებას, განათლებულ გამჭრიახობას და გულთა-მხილაობას თხოულობს, ჩვენ კი ამისთანა ძნელი საქმე არ შეგვიძლია, საიმისა ძალღონე არ შეგვწევს. ჩვენ წვრილ-პატრიოტული, მოკლე-მოკლე გრძნობათა ტყეში განზღავართ მოქიფ-მოსიერ-მონადირენი და „დიდთა ვერ დეხოცთ, ხელათ გვაქვს ხოცვა ნადირთა მცირეთა“.

ენახოთ, რას გვეტყვიან ბ. განდევლის „თვალეზი“. ამ თვალეზის ტემა, აზრი „არ ახალია, ძველია“—სიყვარული, ღალატი და სინანული. მაგრამ ტემის სიძველე დიდი ცოდვა არ არის. ახალი ტემები და სიტყვები საუკუნეში თითო-ორჯოლათ იბადებიან. საქმე ტემის, სიტყვის ახალი გულწრფელობა, ალტრუისტობაა. სიტყვამ უნდა შეიყვაროს აზრი და გრძნობა და დადვას მათ წინ თავი რდეაის სამფლობელოსაკენ „გზათ და ხიდათ“. ბ. განდევლის „თვალეზში“ კი სიტყვამ დაიდვა ქვეშ აზრი და გრძნობა და ლამაზათ თელავს და რინინებს ზედ შევნიერი შთაბეჭდილების და ეფექტისაკენ კაპწიათ მიმავალი... და ამისთანა სიტყვა არ ცხონდება.

„ღმერთო, ეს რა შევნიერება!“ გესმით ვიღაც ქალის ხმა გამოფენილ სურათების დარბაზში.

ცოტათი მაინც გულთა-მხილაობა თუ მოგდამთ, თქვენ შეგიძლიათ ისევ ისე იდგეთ, როგორც იდევქით, ამ აღტაცების აეტარისაკენ თავი არ მიბრუნოთ, არც კი შეხედოთ და ისე გამოიცილოთ მის სულის მოძრაობა-ვითარება, მისი ფსიხოლოგია, ამ აღტაცებაში გამოხატული.

ყველა ამის გამოხატველი — ამ სიტყვების კილო — სარჩულია, რომელსაც ვერ დამალვენ ნათელი და მჭერივლი სიტყვები, ის მუსიკაა, რომელიც ყველა მათ ასოებს დაკრთის და დაქუტუტულებს.

რა წამს მოჰკარით ყური სურათის შეფურთხენას, იმ წამსვე უნახავათ დაინახეთ გონების თვალთ შემ-

ურთინავი არსება. კეკლუცი მანდილასანია. სურათის დარდიც არა აქვს. მაღლა სირაქლემას ფრთა აქვს, უკან — ფარშავანგის ბოლო და მარჯენითა და მარცხენით — ქაბუკ ბუღბუღოთა რაზმი უდვას; და აღფრთოვანებულ სიტყვების აღტაცებულობა თაიფულათ გამოსცეს მარჯნის ტუჩუნებმა ამ ბუღბუღოთათვის გულას ყნოსვის დასატკობელათ.

გაიხედეთ ახლა იქითენ, თუ არ ცამართლდეს თქვენი ფიქრი.

ღმერთო დადებულო! — ნამდვილ ასე არ ყოფილა? გამართლდა სიტყვა სიტყვით... შევნიერ აღტაცებულობის ცერებზე შემდგარი კეკლუცი ქალის ნაკეთობა. მაღლა — სირაქლემას ფრთა, უკან — ფარშავანგის ბოლო და მარჯენითა და მარცხენით — ქაბუკ ბუღბუღოთა რაზმი.

საოცარი არაა! — ყველა ეს რაგინდარაობა, ჯერ კიდევ თქვენ თვალთ-უნახავთ, დატეულ და გამოცხადებულ იქნა თქვენთვის ყურთა თქვენთა შინა შემონაქროლ პატარა ფრაზაში.

აი, რა შეძლებია სიტყვას! თვალის კი არა, სიტყვა ყოფილა სარკე სულისა და სიტყვაში თურმე არაფერი არ დამალვება.

დაუგდეთ ახლა ყური წრფელი აღტაცების აღსარებას. მისი სიტყვები იგივე კეკლუცას ნახმარი სიტყვებია, სიტყვები ძველი, როგორც თვით ქვეყნიერებაა, მაკრამ, ქვეყნიერებასავით, იმათაც ყოველ წამს ეცვლება თფრი და იერი.

„ღმერთო, რა შევნიერებაა!“ — იტყვის გრძნობა მართალი და გულის სიღრმემდის ჩაგწვდებათ, თქვენ თვალ-წინ დვას ადამიანი, სურათის შევნიერებით ქვეშაირით აღტაცებულა, და ეს აღტაცება თქვენც გაღაგვლოთ.

რა მანქანებამ განაცხოველა ასე მსწრაფლ ეს სიტყვები და შეგვაყვარა მათი ფარშავანგა და შინაარსიც? ამის მომქმედი ადამიანის წრფელი გულია, ის გული, რომელიც თავისი აღსარების, თავისი პასუხის ფორმას, სამოსელს არ დეძებებს, და მით უფრო აღრე პოულობს ამ ფორმა-სამოსელს, და მით უფრო შევნიერებს ეს სამოსელი, როგორც ლამაზ ქალს მხოლოთ მაშინ დაშვენდება ხოლმე უბრალო კაბა, როდესაც ის მაზე სულ არ ფიქრობს და იმიტომ მის მოძრაობასა და მისგრა-მოხერას წრფელი და თავისუფალი შნო და ღაზათი ატყვია.

ფორმა და შინაარსი განუყოფელ-განუშორებელ-ნი და-ძმანი არიან. რაც უფრო მეტს ფიქრობს თავის თავზე რომელიმე მათგანი და მეორისათვის არ ზრუნავს, მით უფრო მეტი აკლდება მეორესა და მით, რასაკვირველია, უხატურობასა და მის ღირსებასაც.

ბ. განდევლის ეტიუდებში კი ჩვენ ვქვრებით მხოლოდ ფორმას და ვერ ვქვრებით შინაარსს. სამწუხაროა.

ახლა საბუთები.

იგრილა დაბურულ ტყეში თოფმა და დაასკვნა დედა-მიწას შევნიერი ირემი.

მოუახლოვდება თავის მსხვერპლს უწყალო მონადირე და ირმის გრძნობიერი თვალების ლამაზ სიკვდილს დაესწრება.

უნდა გამოეტყდეთ, ეს პირველი სცენა ლამაზი და წმინდა გრძნობით აქვს ბ. განდევლის გამოსახული და შევნიერი ფორმით შემოსილი და ზოგიერთ მის ლექსებს მოგვაგონებს.

შემდეგ კი ეტიუდის ავტორი შეუდგება ადამიანის ფსიხოლოგიას, ადამიანის სულის ვითარებას - ეკლიანსა და საფათურაკო გზას.

ირმის მომაკვდავი თვალეები მონადირეს ერთ სამგლოვიარო შემთხვევას მოაგონებენ და წამოუყენებენ თვალ-წინ, და ეს სამგლოვიარო შემთხვევა ლუპავს მონადირესა და მთელ მოთხრობასაც.

მას გაახსენდება თავისი ლალატი და მისი ბედკრული მსხვერპლი—ერთი უმანკო არსება... და მის ამბავს მოჰყვება...

აქ ავტორს ის დაემართება, რაც იმ ბერს დაემართა, რომელიც ცხენზე ჯდებოდა და—„ძალნო ცისანო, მიშეელებო!“—ლალად ჰყო, და ამ ძალთა ცისათა შემწეობით იმდენი სიძარღვ შემოიკრიბა, რომ ცხენზე შესკუბების მაგიერათ, კიდევაც გადასკუბდა ზედა და გადაღმა მიწაზე ბრავგანი მოიღო.

„ერთათ ნუ, ერთათ ნუ, ცალკ-ცალკე შემეწინით მეთქი!“—შესძახა ახლა ძალთა ცისათა გამწარებულმა ბერმა.

აგრეთვე ბ. განდევლიმაც ლალადისით მიმართა ყველა გრძნობათა ციურთა და მათი შეერთებულნი შემწეობით თავის განზრახვას გადასკუბდა და მხატვრობის გადაღმა ნიდაგზე გაიშთა.

ასე იცის გრძნობათა გადამეტებამ. ამ გრძნობათ უნდა ვევედროთ ხოლმე, რომ ცალ-ცალკე შეგვეწინენ, თორემ წამხდარია ჩვენი საქმე.

ამიტომ არის, რომ ბ. განდევლის „თვალეებში“ მონადირეს სიყვარულიც თავლია, ლალატიც თავლია და სინანულიც ორ-კეცი თავლია. იმ თავლის გვარია, რომელსაც ევროპიულათ სენტიმენტლიზმს, ტკბილ-გრძნობიერებას უძახიან.

ამოვიღოთ ბ. განდევლის მოთხრობიდან ერთი უტკბილესი ადგილი და დინჯათ დავაცქვრდეთ.

მოლაღატე თავის უმანკო, მომაკვდავი მსხვერპლის სახლში იმყოფება და „ყოველი ავეჯი ამ სახლისა, ყოველი უსულო საგანი და თვით შალერ-ჩამოგლეჯილი კედლებიც კი, რომელიც ერთის წლის წინათ „სიყვარული, სიყვარული!“—მიადახებდენ ხოლმე, ახლა „ლალატი, გაცემოა“, - ჩასძახოდენ ყურში“...

ჩამოგლეჯილ-ჩამოკიდულ შალერს დავეთხოვით, იმას საკუთარი, გძელი და კეთილ-შენაძენი ენა აქვს და უმწარესი ლაპარაკიც შეუძლია... და როგორ შეიძლო დანარჩენმა ავეჯმა ამისთანა სმინელების გამოთქმა, ეს ღღესაც საიდუმლოა ჩვენთვის.

ღმერთო, რა მძლავრის გრძნობით გვიხატავს ავტორი მსხვერპლის ოთანში გულ-შემოყრილი მონადირეს მოსულიერებას და როგორ მკრთალ-ულონოთ ისტამბება ეს სცენა მკითხველის გულში! რა სასოწარკვეთილებით დაეყრდნობა „მწარის მზრახხვი“ მონადირე ირემს, უკაცნის სახეს, ყურებს, რქებს, ჩლიჩქებს, მთელ ტანს და სინანულის ცრემლს აფრქვევს იმის ლამაზათ გადაგდებულ ყელს“ .. და რა მზიარულებით დაცინის მკითხველი მონადირეს დიაცურ მიხვრა-მოხვრა—მოქმედებაში... ფუ ამ მონადირის ეფაკცობა-მამაცობას!—გრძნობა—ჯაბანი ყოფილა და

„კაცი ჯაბანი რითა ჯობს დიაცსა, ქსლისა მგეჭველსა?“

ისევ ჩემ ავთანდილს ვენაცვალე! იმასაც ხომ ტრფიალების ემზი წყავს, მაგრამ ის მაინც არაფრათ აგდებს მისგან მოკლულ ირმის სახეს, ყურებს, რქებს, ჩლიჩქებს, მთელ ტანს, და ამ ტანს ამოჭრის მხოლოდ გემრიელ და ნოყიერ სუკებს და ლამაზ მწეადს ააშიშხინებს ცეცხლზე, ტარაელის ძებნაში მაშვრალ-დამშეული.

„ჰოი სიტყებო, სიტყებო, ლამაზათ ხვარაზ-მულებო!“

შევეხოთ კიდევ რამდენიმე სიტყვით ბ. განდევლის „კბილებს“ და კმარა.

გრძლათ იმიტომ ვიბაასეთ ბ. განდევლის „თვალეებზე“, რომ მათი ჭირ-ვარამი ჩვენი საზოგადო—ტკბილ-ქართული ჭირ-ვარამია, და სატყვიარს, ხომ მოგვხსენებთ, გძელი და პირ-ღღესული ნეშტარი უნდა.


ბ. განდევლის „კბილებში“ კი, სწორე გამოეტყდეთ, ჩვენ ვერც საკბილო რამ ვიპოვეთ და ვერც სათვალო. ჩვენ გულით გვეცოდება მხოლოდ ის ობოლი ცხვირი, რომელსაც ბოდინ-მოუხდელათ

გადასტა ბ. განდევილი და რომელიც წარმოადგენს ადამიანის სახეზე ერთ უმსხვილეს შვენიერებას. მით უმეტეს უნდოდა ამ საცოდაეს პატივის ცემა, რომ ის ცხვირი ხელ მარტო დაღვრემილი ობოლია, თვალები და კბილები კი კომპანიათ და მხიარულათ არიან.

რა ეთქვათ ბ. განდევლის „კბილებზე“? ღმერთ-მან იცის, გვეძინლება მათზე რაიმე მსჯელობის გამოთქმა. ისევ ამ „კბილები“ შინაარსის ეელზე გავკურსხლოთ და ეგებ, გაქანებული, საიმედო რამ ნიშანს წვატყდეთ. ნურც ამას იფიქრებთ. ეს ევლ-ფენ-წაკრულობისა და დაბრკალების ლოდებით არის მოფენილი. ისევ სახლიდან განიშნებთ ამ ევლზე ამართულ ხის სეცტებს. „ბებრუტუნა ქალი“, აფიცერი; ბებრის სიყვარული; აფიცერი აძლევს სიყვარულს და გამოართმევს ფულს. ბებრუტუნა სალამაზო კბილებს აკეთებინებს ექიმს, მარცხი მოუღდის და კვდება. აფიცერი კი, ფულ-ჩაჯიბებულო, მხიარულათ დაკინტრომებს ცის-ქვეშა სივრცეში. გათავდა, სხვა არაფერი, ჩვენც ვერაფერს ვიტყვი.

დასასრულ ყოვლისა, ურჩევთ ბ. განდევლის მარგალიტთ ფანტეას თავი დაანებოს და ისევ მარგალიტთ აწყობას მოჰკიდოს ხელი. ეს უფრო ემარჯვება.

ა. ნაკაშიძე.



ყურნალ-გაზეთებიდან.

საერთაშორისო კონგრესი დამნაშავეთა შესახებ.



გვისტოს 24 გაიხსნა ქენევაში კრიმინალური ანთროპოლოგიის კონგრესი, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლებმა. პირველი ალაგი იმათ შორის ეჭირათ, რასაკვირველია, ლომბროზოს და ფეროს. რუსეთის წარმომადგენლებში დაეასახლებთ პროფ. ბენტერეცს და ფოიერიცის, ქ-ნ ტარნოვსკის და სენატორ ზაკრეესკის. კონგრესი გაიხსნა შვეიცარიის რესპუბლიკის პრეზიდენტის სიტყვით. შემდეგ პროფ. ლომბროზომ წაიკითხა თავის მოხსენება, რომელიც ენებოდა კრიმინალური ანთროპოლოგიის წარმატებას 1890 წლიდან. ლექტორმა მოკლეთ დასახელა ზოგიერთი ახალ-ამოჩენილ ანატომიური ნიშნები, რომ-

ლებითაც იცნობებიან დამნაშავენი, მაგ., ერთი ირიბი ხაზი ხელის გულზე ორის მაგიერათ, ხერხემლის ტენის უჯრედების ცელილება და სხვა. მაგრამ, დაუმატა მან, ტყვილათ ფიქრობენ, ვითომც იტალიურ სკოლას მარტო გარეგანი ნიშნები აქვს სახეში, ანატომიური ნიშნები შეადგენენ მხოლოთ მთელი აკკორდის ერთ ნოტს; აკკორდს შედგენაში ღებულობენ მონაწილეობას ამას გარდა კიდევ სხვა ფაქტორები: ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და ფსიხოლოგიური. მხოლოთ მიკროცეფალებს და იდიოტებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ ამა თუ იმა გარეგანი ნიშნის ძალით ჩვენ ეცნობილობთ ადამიანში დამნაშავეს...

„შესაძლებელია, რომ კაცი დაიბადოს დამნაშავეთ, როგორც ფიზიკური, ისე ფსიხოლოგიური ნიშნებით, მაგრამ მოკედეს ისე, რომ ერთი დანაშაულიც არ ჩაიდინოს, თუკი ის კარგ შიშობებში იტყუებს; პირიქით, თუ იგივე ინდივიდუუმი ჩაეარდება ცულ პარობებში, იმის მიღრეკილებანი გაიღვიძებენ და ისიც ბოროტ საქმეს ჩაიდენს, მაშინ როცა ნორმალურ ადამიანს იმავე პარობებში შეეძლება თავის დაქვრა“.

შემდეგ სხდომაზე ყურადღება მიიქცია პროფ. დალემანის მოხსენებამ „გადამახინჯებაზე და დანაშაულობაზე“. ლექტორს გაჰყავდა ის დედა აზრი, რომ ამ შემეცნებათა ერთი ერთმანეთში არევა შეუძლებელია. გადამახინჯება წარმოგვიდგენს ბუნებრივ პროცესს; ის განვითარების შედეგია, რადგანაც ის ინდივიდუულები, რომლებსაც არა აქვთ საკმარისი ძალა, რათა წინააღმდეგ ბუნებების სხვა-და-სხვა გამანადგურებელ მოვლენას, უნდა უსათუოთ თან-და-თან ამოწყდენ. რაც შეეხება დანაშაულობას, დაღმანის აზრით, ის წარმოგვიდგენს იურიდიულათ იმას, რასაც გადამახინჯება, ბიოლოგიურათ. დანაშაულობა და გადამახინჯება შესაძლებელია ერთ და იმავე ადამიანში, მაგრამ ისინი ყოველთგინ ერთათ არ ხედებიან. მაგალითათ, სრულ იდიოტებში დამნაშავეთ ვერ შეხედებით, რადგანაც გადამახინჯებამ მოკლა მათში ყოველგვარი გონებრივი მოქმედება.

ძრიელ აღვლევებული კამათობა გამოიწვია პროფ. ვან-აბელის მოხსენებამ „ანარხიზმზე და მასთან ბრძოლის შესახებ“. ჩვენთვის არ არის საჭირო ვიცოდეთ,

თუ რა თვალით უყურებენ თანამედროვე უფლებების წარმომადგენელი ანარხისტებს. საინტერესოა მხოლოდ შენიშნათ, რომ როცა იტალიური სკოლის წარმომადგენელი ამტკიცებენ იმას, რომ ანარხისტებს ისე უნდა მოვექცეთ, როგორც სხვა დამნაშავეთ, ლომბროზოს მოწინააღმდეგე ანარხისტების წინააღმდეგ განსაკუთრებით სასტიკ ზომებს უქადაგებენ საზოგადოებას.

დოქ. ლეკრენის მოხსენება ეხებოდა ალკოგოლიზმის მანე შედეგს საზოგადოებისათვის. ის გადამახინჯება, რომელიც წარმოდგება ალკოგოლიზმიდან, ძრიელ სწრაფათ მიდის წინ. ამ აზრს ლეკრენი ამტკიცებდა მრავალი სტატისტიკური ცნობებით.

მაგრამ მეტათ აღეღებულთ სხდომა იყო 26 აგვისტოს სენატორ ზაკრეესკის და პროფ. ფერრის გატარებულთ კამათობის გამო. ზაკრეესკი წაიკითხა მოხსენება „კავშირთ ანთროპოლოგიას და უფლებას შორის“. ბ. ზაკრეესკის შეხედულება მდგომარეობს შემდეგში: ანთროპოლოგიასა და უფლებას შორის არავითარი კავშირთ არ არსებობს. ის საგნებთ, რომელსაც ეხება ეს ეგრეთ წოდებულთ მეცნიერება, იმდენათ სხვადასხვა გვარია და არაფერთ საერთო არა აქვთ ერთმანეთ შორის, რომ ისინი მოაგონებენ ბ. ზაკრეესკის იმ ეჭვბატონს, რომელმაც მთელი შეძლება დაიღუბა იმაზე, რომ გამოეცა თავის შრომა: „ზეციურ სხეულთა გავლენა ენაზე“. დამნაშავეთა ანთროპოლოგია იგივე „ასტრონომიული ფილოლოგია“. „იანდაყოლილ“ დამნაშავეთა მოდგმა არ არსებობს, და მე ფიქრობო, დაუმატა ბ. ზაკრეესკიმ, რომ ახლა რომ ვინმეს მოსვლოდა თავში აშინაირთ აზრთ, სყოველითა სიცილს გამოაწვევდა (ბევრა დამსწრეთაგანთ ხმა მალლა აცხადებენ პროტესტს). მსაჯულთს ადგილს ვერ დაიჭერს ვერც ექიმი და ვერც მსწავლულთა კომისიებთ. საკმარისია ისიც, რომ სასამართლოში იწვევენ ექსპერტებს და სხვ. ლომბროზომ იმაზე პირველათ შენიშნა, რომ ბ. ზაკრეესკის ახალი არაფერთ არ უთქვამს. ლომბროზოს შემდეგ კათედრაზე მოულოდნელათ გამოჩნდა მღვდელი (კათოლიკე) ანაჟორაში, ახალგაზნდა აბატი ბაეცი, რომელმაც დიდი ყურადღება მიიქცა ლომბროზოს თეორიის დაცვით. მაგრამ, როგორც იტყვიან, ბღღერი გაადიდა ბ. ზაკრეესკის მოხსენებას მკერმეუყველთა დეპუტატთა ფერრიმ. აჰ, მისი სატყვის დედა-აზრთ: „თავისთ მოხსენებით ბ. ზაკრეესკიმ დაგვიბტკიცა ჩვენ თავისთ სრული უეცილობა დამნაშავეთა ანთროპოლოგიის შესახებ. არაფერთ ჩვენგანთ არასოდეს არ ამტკიცებდა, რომ არსებობს დამნაშავე ხალხის განსაკუთრებით მოდგმა. დამნაშავე, ჩვენი წარმოდგენით, ნორმალური ტიპის ცელილება. მეორე მართ, რაც შეეხებ-

ბა მართლმსაჯულებას, ბ. ზაკრეესკი ივიწყებს, რომ მსაჯულს არ შეუქნია კანონი და უფლება, არამედ საზოგადოებას. ამისათვის ის იმათი შემქნელი არ არის, არამედ მხოლოდ მოსამსახურე საზოგადოებისა. ფერრის სიტყვებთ ყველამ აღტაცებით მოისმინა.

ქალაქი ღორ-გამოდეკელი ან თ-წერეთ ის

# განცხადება

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთუთსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მკოდნენთ.

სწავლის გათაებას შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1896—97 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნებთ იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო ანთიმეტია, 3) ბუხგალტერის მარტივი, ორკეციც და საბანკო, 4) ანთიმეტია სახანგარიშო იოთუათ, 5) საკომერციო მიწერ მიწერა, 6) საჯგტრ და სთამასუქო წესდებანი, 7) მსწრაულ-წერა და წერა გავრული და შნოანთ (исправление дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდან. ახლათ შემომოსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდან. ყოველ დღე დილის 10 საათიდან თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში სასლი აღესანდრე ფრედონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, აფთაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსსეიდლოთ შეძლება მიიღოს მსურველთა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ვინც ქალაქს გარეშე ცხოვრებს, შეუძლია წერილთ მიმართოს კურსების დამარსებელს პ. მანუელანსს, ტუილიში.

(12—9)